„Иверія“ (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр
Пурцхванидзе

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაზე, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

## განცხადება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1892 წლის პირველის ენკენისთთვიდგან იხსნება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში (რომელიც შესდგება ამ ჟამად ოთხის მოსამზადებლის და სამის პროგიმნაზიულის კლასისაგან) მეოთხე პროგიმნაზიული კლასი.

სკოლა ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასისათვის, რეალურ სასწავლებლის პირველის კლასისათვის, და კორპუსისათვის. ქართულს ენას გარდა, სკოლის პროგრამა სრულიად ეთანხმება აღნიშნულ სასწავლებლების პროგრამას.

მომავალ ენკენისთთვისათვის სკოლაში არის სულ 50 ვაკანსია: პირველს განყოფილებაში — 29, მეორე განყოფილებაში — 8, მესამე განყოფილებაში — 4, მეოთხე განყოფილებაში — 2. და პირველს კლასში — 7. დანარჩენ კლასებში არ არის ვაკანსია.

ზემო აღნიშნულ რიცხვიდგან (50) ორმოც-და-ცხრა (49) დანიშნულია გარედგან მოსიარულეებისათვის და ერთი (1) პანსიონში შემომსვლელთათვის. ეს ერთი ვაკანსია, გამგე კომიტეტის გარდაწყვეტილების თანახმად, ეკუთვნის ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობას, საიდგანაც მიღებულ იქმნება ერთი ღარიბ თავად-აზნაურთაგანი საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

რაიცა შეეხება იმათ, ვისაც სრულს საკუთარს ხარჯზე სურს შემოსვლა პანსიონში ან ნახევარს ხარჯზე (პირველნი იხდიან წელიწადში ოც თუმანს და მეორენი—ათს), წელს სკოლის მთავრობა, სამწუხაროდ, ვერ დააკმაყოფილებს მათს თხოვნას, რადგან ამ ჟამად პანსიონში ყველა ვაკანსიები დაჭერილია, გარდა ერთისა, რომელიც, როგორც მოხსენებულია ზემოდ, დაინიშნა ტფილისის მაზრისათვის. მსურველთ შეუძლიანთ შემოვიდნენ სკოლაში მხოლოდ გარედგან მოსიარულეებად, რომელთათვის დანიშნულია 49 ვაკანსია.

თუ ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ მარიამობისთვის უკანასკნელ რიცხვებში და ან ენკენისთვის განმავლობაში განთავისუფლდა რამდენიმე ვაკანსია, მაშინ კიდევ შეიძლება მიღებულ იქმნას პანსიონში იმდენი მოწაფე, რამდენიც ვაკანსია დაიცლება.

პირველ განყოფილებაში მიიღებიან ყმაწვილები არა უმეტეს 8 წლისა.
მეორე განყოფილებაში „ „ არა უმეტეს 9 წლისა.
მესამე განყოფილებაში „ „ არა უმეტეს 10 წლისა.
მეოთხე განყოფილებაში „ „ არა უმეტეს 11 წლისა.
და პირველს კლასში „ „ არა უმეტეს 12 წლისა.

შემომსვლელთათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

1) მეტრიკის მოწმობა, 2) ყვავილის აცრის მოწმობა და 3) ვისაც საზოგადოების სრულს ხარჯზედ უნდა შემოსვლა, გარდა ხსენებულ დოკუმენტებისა, უნდა წარმოადგინოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოწმობა, რომლის ბანკის დამფუძნებელთაგანია და აგრეთვე მაზრის მარშალისაგან სიღარიბის მოწმობა. ესევე საბუთებია საჭირო იმათთვისაც, ვინც საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ შემოდის, თვინიერ ბანკის მოწმობისა.

ვისაც სკოლაში შემოსვლა ჰსურს, წლოვანობის შესაფერი ეგზამენი უნდა დაიჭიროს. ვინც დროზედ დოკუმენტებს ვერ წარმოადგენს, ეგზამენის დაჭერის ნება არ მიეცემა და, თუ საზოგადოების ხარჯზედ შემოდის, კენჭიც არ ჩამოეტარება.

თხოვნის მიღება დოკუმენტებითურთ შეიძლება დღიდგან გამოცხადებისა მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной, въ д. Гургенбекова.

მისაღები ეგზამენი და ხელმეორედ გამოცდა დაიწყება მარიამობისთვის 26 რიცხვიდგან და გაგრძელდება პირველს სექტემბრამდის.

გარედგან მოსიარულეთათვის სწავლის ფასი თორმეტი მანეთია. როგორც გარედგან მოსიარულე, ისე პანსიონერი მოვალეა დაწესებულ ფულის ნახევარი შემოსვლისათანავე შემოიტანოს და ნახევარი იანვარში.

მშობელნი ვალდებულნი არიან, რომ მათი შვილები სუფთად იყვნენ ჩაცმულნი თანახმად სკოლის მოთხოვნილებისა და საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სასწავლო ნივთები არ აკლდეთ. ამიტომ, ვინც მშობელთაგანი ტფილისში არა სცხოვრობს მუდამ, ვალდებულია, თავის მაგიერი ვინმე ტფილისში მცხოვრებთაგანი წარმოადგინოს თავდებად, რომელიც მოვალე იქნება აღასრულოს სკოლის ყველა მოთხოვნილება შესახებ მოწაფისა, რომელსაც ჰთავდებობს.

(4—2)

## ახალი ამბავი

*** სამშაბათს, 30 ივნისს, ტფილისის სამკურნალოში 16 ხოლერით ავადმყოფი იყო, 14 კაცი და 2 ქალი. იმავე დღეს მიიყვანეს კიდევ 1 კაცი, ტერ-ხეჩატურიანი (ტფილისის 7 ნაწილი, მაჩაბელის ქუჩა, დურგულევის სახლი) და სამი ქალი: ტიუტერევისა (8 ნაწილი, ამატუნის ქუჩა, № 33), ფილიშვილისა (9 ნაწილი, წყლის-პირის ქუჩა, ქართველიშვილის სახლი) და პიჩკოვისა (9 ნაწილი, მადათოვის კუნძული, მუსაილოვის სამხერხაო). კარგად გახდნენ: კარპოვი და ორი ქალი: ბალაშევისა და რიბინინისა. გარდაიცვალა 1 კაცი—ორუჯ-ოღლი.

იმავე სამკურნალოში საღამოთი იყო 16 ავადმყოფი, 13 კაცი და 3 ქალი. ღამე მიიყვანეს კიდევ 3 კაცი: პრუშანსკი (1 ნაწილი, ვერის აღმართი, ნ. ჩიტალენკოს სახლი), ზუბოვი (3 ნაწილი, ის სახლი, სადაც წინად ტელეგრაფის კანტორა იყო) და ვალი-ოღლი (6 ნაწილი, ვარანცოვის ქუჩა, მარაბაშის ქარვასლა). ამას გარდა სამკურნალოში მიიყვანეს ავლაბრიდგან ქუჩაზედ მწოლარე უცნობი ავადმყოფი, რომელიც 5 წამს შემდეგ გარდაიცვალა. იმავე ღამეს სამკურნალოში გარდაიცვალა ერთი ქალი (ტიუტერევისა). 1 ივლისს დილით სამკურნალოში იყო სულ 16 კაცი და 1 ქალი.

მეშვიდე ნაწილში, ლუარსაბის ქუჩაზედ, ავად გახდა ხოლერის მინაგვარ ავადმყოფობით ტფილისის მოქალაქე სოლომონ ანუევი, რომელიც სახლშივე დასტოვეს და მკურნალი ვერმიშევი სწამლობს.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 29 ივნისს სამკურნალოში მიიყვანეს 35 ავადმყოფი, გარდაიცვალა 22. სამკურნალოში იმყოფება 152. სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 36, ბაქოს მიდამოებში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 7, მორჩა 4, სალიანის ბატალიონის სამკურნალოში მიიყვანეს 2, გარდაიცვალა 1, ავად არის 26. ბაქოს გუბერნიაში გარდაიცვალა 4, ავად გახდა კიდევ 2.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 29 ივნისს შუშას სამკურნალოში მიიყვანეს ხოლერით ავადმყოფი 8, გარდაიცვალა 4. მორჩა 6, ავად არის 28. ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 8, ავად არის 20. განჯაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, განჯის მაზრაში ავად გახდა 1. ზანგეზურის მაზრაში ავად გახდა 71, ამათში გარდაიცვალა 10, მორჩა 31, ავად არის 30. მთელს გუბერნიაში 84 ხოლერით ავადმყოფია.

*** ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: ბაქოდგან მოსულ 600 მუშათა შორის 28 ივნისს ბათუმში კიდევ გარდაიცვალა 2. ავად აღარავინ გამხდარა.

*** დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 28 და 29 ივნისს სამურისა, დარგინისა და კაითაგო-თაბასარანის ოლქებში კიდევ ავად გახდა 56, გარდაიცვალა 39, მორჩა 9. მთელს დაღესტანში სულ 62 ავადმყოფია.

*** ტფილისში ჩამოვიდა ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად სამხედრო მინისტრის მიერ გამოგზავნილი მკურნალი კაჩაროვსკი.

*** ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა დაბეჭდილი, რომ ტფილისში კიდევ ერთი სამკურნალო უნდა დაარსდეს მაჰმადიანთა ხოლერიან ავადმყოფთათვის. ეხლა-ხან ტფილისის გუბერნატორთან, გ. დ. შერვაშიძესთან ამ საქმის გამო კრება იყო, რომელსაც დაესწრნენ: სპარსეთის ელჩი მირზა-რიხა-ხანი, საპატიმროთა კომიტეტის დირექტორი დევდორიანი, მკურნალნი და ტეხნიკები. ტფილისის გუბერნატორი ამ საქმეს ძლიერ თანაგრძნობით მოეკიდა, და რადგანაც ქალაქის მმართველობამ უარი განაცხადა მაჰმადიანთათვის მკურნალთა დანიშვნაზედ, გუბერნატორი დაჰპირდა სპარსეთის ელჩს, მე თითონ დავნიშნავ მკურნალებს და „წითელ ჯვრის“ საქველმოქმედო საზოგადოებასა ვთხოვ, ავადმყოფთა მომვლელი ქალები დაგვინიშნოსო. საქმე ეხლა სამკურნალოსთვის ადგილის არჩევაზე-ღაა მიმდგარი.

*** სპარსეთის ელჩმა მირზა-რიზა-ხანმა დაათვალიერა მის მიერ დაარსებული სპარსელების სასანიტარო კანტორები. პირველი სასანიტარო კანტორა ვერაზედ არის. ვერის სასანიტარო დასს 9 კაცი შეადგენს. მეორე კანტორა მეჩეთის ქუჩაზედ არის და დანიშნულია სპარსელების სასანიტარო მეორე დასისათვის. სპარსეთის ელჩმირზა-რიზა-ხანმა კანტორებში ბოქაულები მიიწვია და იმათ შეამოწმეს, რომ სპარსელთა სასანიტარო დასები ძლიერ სინიდისიერად და გულ-მოდგინედ ასრულებენ თავისს მოვალეობასაო. ათვალიერებენ როგორც რუსეთისა, აგრეთვე სპარსეთის ქვეშევრდომ სპარსელების სადგურებს, აძლევენ ხალხს დარიგებასა და სადეზინფექციო და სხვა წამლებს. ამას გარდა, ღარიბ ხალხს ართმევენ ძველსა და უვარგისს ლოგინსა და ტანთსაცმელს და ურიგებენ ახალს. გარდა ამისა, სასანიტარო კანტორებმა დაიქირავეს ოცამდე სუფთა ოთახი და დააყენეს იქ ღარიბი მცხოვრებნი. ამ ოთახებისთვის საჭირო ფული შესწირა თვით სპარსეთის ელჩმა პატივცემულმა მირზა-რიზა-ხანმა.

*** ტფილისის სამაზრო მმართველობის ცნობებიდგანა სჩანს, რომ ტფილისის მაზრაში ხოლერით ავად გამხდარა: იცკოვიჩი (ვოლშტეინი) სოფ. მცხეთაში და ერთი კაციც წყნეთში. ეს ავადმყოფი ერთმა გლეხმა ტფილისის სამკურნალოში წაიყვანა, რადგანაც ავადმყოფი ხოლერიანი აღმოჩნდა. სოფ. წყნეთში გაემგზავრა სამაზრო მკურნალი იმ სახლის სადიზენფექციოდ, რომელშიაც სცხოვრობდა ავადმყოფი, მაგრამ სახლის პატრონმა ქ-ნმა კ—სამ ამის ნება არ მისცა და სახლიდგან გამორეკა მამასახლისი და ფერშალი. მაზრის პოლიციამ ამ ქალს ოქმი შეუდგინა და სამართალში მისცა სასანიტარო წესის დარღვევისათვის.

*** 1 ივლისს სანიტარებმა და სამოქალაქო და სამაზრო პოლიციამ ბევრი კიტრ-ქლიავი, ჰერამი და ალუჩა გადააყრევინა ვაჭრებს, რადგანაც ამ ხილის გაყიდვა 1 ივლისიდგან სრულიად აკრძალულია.

*** ამ დღეებში ავლაბარში ერთი კინტო გახდა ხოლერით ავად. პოლიციელს წამალი უნდოდა მიეცა, მაგრამ კინტომ უარი სთქვა, არ დავლევო. ავადმყოფს გარშემო ხალხი შემოეხვია და ეუბნებოდნენ, არ დალიო, ეგ წამლები მოგკლავსო. პოლიციელმა დასამტკიცებლად იმისა, რომ წამლები მავნებელი არ არისო, ჯერ თითონ დალია. ამის მნახველი ხალხი დარწმუნდა, რომ ის წამლები საწამლავი არ არისო, და ნება დართო პოლიციელს ავადმყოფისთვის დაელევინებინა ის წამალი.

*** კაზიანი: აქ ერთი კაცი გახდა ავად ხოლერით.

*** ლანჩხუთი: როგორც იქნა, ვეღირსეთ ჩვენში ფოსტის გამართვას. ბევრის თხოვნისა და ფულის შეტანის შემდეგ მოწერილობა მოგვივიდა მთავრობისაგან, რომ ლანჩხუთში ფოსტა ივლისში დაიწყებს მოქმედებასაო.

*** გაზეთი „Нов. Обоз.“ სწერს; ტფილისის მოურავმა მიჰმართა ნავთლუღის სამხედრო სამკურნალოს უფროსს მკურნალსა და სთხოვა, ხოლერით ავადმყოფი ნავთლუღელები თქვენს სამკურნალოში მიიღეთ, რადგანაც სიშორის გამო ნავთლუღიდგან ავადმყოფების წამოყვანა ძნელად მოსახერხებელიაო.

*** იმავე გაზეთს სწერენ ბაქოდგან: 26 მაისს, საღამოს 7 საათზედ კავკასიის მთავარ-მმართებელ, გენერალ-ადიუტანტ შერემეტევთან მივიდა ქალაქ ბაქოს დეპუტაცია და მოახსენა: ქალაქის გამგეობას შემდეგი მოვალეობა ჰქონდა—1) ყოველ გვარი ღონისძიება უნდა მიეღო ბაქოში ხოლერის გაჩენამდე. 2) ხოლერიან ავადმყოფთა წამლობა და 3) საქველ-მოქმედო საქმე და მცხოვრებთა კეთილდღეობისთვის ზრუნვა. ქალაქის გამგეობამ არც ერთი ამათგანი არ შეასრულა რიგიანად. ქალაქის გამგეობას არავითარი ღონისძიება არ მიუღია ხოლერის გაჩენამდე. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ სახლები და ეზოები ეხლაც-კი საშინლად უსუფთაოა და ქუჩები ნავთით არ ირწყვებოდაო, თუმცა ნავთის მექარხნეებმა უსასყიდლოდ აძლიეს ქალაქის გამგეობას ქუჩების მოსარწყავად საკმარისი ნავთი. ქალაქის გამგეობას ქარხნებიდგან ნავთის მოტანა და ქუჩების მორწყვა სულ ბევრი 4—5 ათასი მანათი დაჯდომოდა, მაგრამ ეს საქმე არ იკისრა. ქუჩებს დრო გამოშვებითა რწყავდა და მოედნები-კი სრულიად არ მოურწყავს. მხოლოდ ერთი მოედანი მორწყეს, ისიც მთავარ მმართებელის ბაქოში სამის დღის მოსვლის წინად.

ხოლერის დროს წამლობის საქმე რიგიანად არ მიდიოდა. ბაქოში დღეში 200 კაცი ხდებოდა ავად და მხოლოდ სამი მკურნალია დანიშნული. სანიტარები 20 კაცი დანიშნა და ისინიც არსადა სჩანან. თითო სანიტარს ქალაქის გამგეობამ 30 მანათი დაუნიშნა თთვეში, მაშინ როდესაც ამ ჟამად ბაქოში დღეში მანათად უბრალო მუშა კაციც-კი არ იმუშავებს, არამც თუ სანიტარი, რომლის მოვალეობაც მეტად ძნელია, თუ სინიდისიერად მოეკიდა თავისს საქმეს. ავადმყოფებთათვის საგანგებო ეტლები არ არის გამართული. გარდაცვლილთა გვამებს ურმებით ატარებენ და იმავე ურმებით მიაქვთ და მოაქვთ საღის კაცის ნივთებიო.

სადეზინფექციო წამლები ქალაქის გამგეობამ ძლიერ ცოტა იყიდა და მკურნალთ ხშირად აკლდებათ ხოლმეო.

ხოლერიანთა სამკურნალო, ავადმყოფების მოსარჩენად-კი არა, იმათ დასახოცად არის გამართული. მართლაც-და ოფიციალურ ცნობათაგანა სჩანს, რომ ამ სამკურნალოში ავადმყოფთაგან 80% იხოცება და მხოლოდ 20% რჩება, ამათშიაც ბევრი ისეთია, რომელიც შეცდომით წაუყვანიათ სამკურნალოში.

ამას ზოგიერთმა დაუმატა, რომ სამკურნალოს ადამიანი ველარ იცნობდა, როცა მთავარ-მმართებელმა დაათვალიერა იგიო: მკურნალებიც საიდგანღაც გაჩნდნენ, ფერშლებიც, მოსამსახურენიც, საწოლებიც.

სანოვაგე ძლიერ დაძვირდა ბაქოში და საფიქრებელია, რომ მოქალაქენი ერთს მშვენიერს დღეს მშივრები დარჩებიან.

ყველა ამას დეპუტაციამ დასძინა, რომ ქალაქის მოვლა ხოლერის დროს ქალაქის გამგეობას უნდა ჩამოეცალოს და სხვას ჩაჰბარდესო. საჭიროა, მთელი ქალაქი 7—8 ნაწილად დაიყოს, ყველა ნაწილში ხოლერით ავადმყოფთათვის თავშესაფარი გაიმართოს, რომელშიაც მუდამ უნდა იყოს: სასანიტარო მზრუნველი, მკურნალი, რამდენიმე ფერშალი, მოსამსახურენი, ავადმყოფთათვის წასაყვანი ეტლები და საკმარისი სადეზინფექციო წამლები. ეხლანდელი სამკურნალო უნდა დაიკეტოს და გაიმართოს ორი ახალი სამკურნალო, თითოში 100 საწოლი უნდა იყოს და ისე კარგად უნდა მოეწყოს, რომ ხალხი-კი არ ერიდებოდეს, არამედ თითონვე მიდიოდეს სამკურნალოშიო.

მთავარ-მართებელმა დეპუტაციის მოხსენება მოისმინა და ყოველ გვარი შემწეობა და დახმარება აღუთქვა.

## მკურნალის ი. ი. მალინინის დარიგება ხოლერის წინააღმდეგ

ამიერ-კავკასიისა და იმიერ-კასპიის აქციზის უფროსმა მიჰმართა ტფილისის მკურნალთ და სთხოვა აქციზის მოხელეთათვის ხოლერის წინააღმდეგ „დარიგება“ გამოეგზავნეთო. მკურნალმა მალინინმა შემდეგი დარიგება შეადგინა, რომელიც უკვე დაიბეჭდა და ეგზავნება აქციზის მოხელეთ.

„სტომაქის მოშლის დროს საჭიროა, რაც შეიძლება მალე, სასაქმებელის ზეთის დალევა. ზეთი იმდენი უნდა დალიოს, რომ კუჭი ძლიერ მალე დაცალიერდეს. შემდეგ ის კაპლები და პარაშოკები უნდა დალიოს, რომლების რეცეპტებიც ქვემოდაა მოყვანილი. ჯერ კაპლები, შემდეგ $1^1/_2$—2 საათისა პარაშოკი, შემდეგ ისევ კაპლები და ასე რიგრიგით. საჭიროა, რომ ავადმყოფმა, რაც შეიძლება მალე, დალიოს სასაქმებელი ზეთი. ხოლერის ნიშანია ფაღარათობა, რომლის დროსაც ავადმყოფი ტკივილებს არა ჰგრძნობს. განავალი წყალივით თხელია ხოლმე, მოთეთრო და ლორწოიანი. თუ ავადმყოფს ხელ-ფეხი უცივდება და მუცლის ტკივილებსა ჰგრძნობს, ხელ-ფეხი უნდა დაიზილოს და მუცელზედ თბილი კომპრესი დაიდოს ხოლმე (ცხელ წყალში დასველებული და გაწურული ტილო).

კაპლებისა და პარაშოკების რეცეპტები შემდეგია:

Rp. Tinct. Valerian. aether ʒjv
„ Nuc. Vomic. ʒj
„ Opii crocatae ʒjj
D. S. 20 წვეთი ჯერზედ.
Rp. Magisterii bismuti gr. vjj
Opii puri gr. $^1/_2$ (b)
D. t. d. № 24.
S. 3 პარაშოკი დღეში.

ეს წამლები რიგ-რიგით უნდა დალიოს, ჯერ ერთი, მერე მეორე $1^1/_2$—2 საათის დრო-გამოშვებით.

## გაკვრით

(გზა და გზა და სხვათა შორის)

ერთად-ერთს-ღა ჰკითხავენ ქალაქიდგან სოფელში მისულს—მართალია, რომ ხოლერა მძვინვარებს? მართალია, რომ ჰჟლეტავს იქაურობას? მართალია, რომ ავადმყოფების, და მომაკვდავთა ნამდვილს რიცხვს არ აცხადებენ? ხოლერა, ხოლერა და ხოლერა.

უნდა ჰნახოთ, როგორ ეხვევა დიდი და პატარა ამ შემთხვევით მოამბეს, როგორ გულმოდგინედ, სულ გაკმენდით ისმენს ყოველ მის სიტყვას, რა ექვი ეტყობა, როცა ეუბნება ვინმე,—დღეში ორი კვდება, ისიც ქვემოდგან მოსულიო. რომ გაიგოთ, რა შიშს აუტანია, რა განსაცდელსა ჰგრძნობს, სიზმარშიც-კი, ეს ჭეშმარიტს ცნობებს მოკლებული ხალხი. ცოტა კიდევ და შესაძლოა შიშის ზარმაც აიტანოს სოფელი.

საფრანგეთში ამისთანა მდგომარეობამდის თავის დღეში არავის მიაღწევინებდნენ; სხვა საქმე რომ არა ჰქონიყოთ-რა, ცოცხალ-ცოცხალ ტყუილებს მაინც გაჰხანხლავდნენ, მაგ., გააბამდნენ ლაპარაკს, რომ ბისმარკს (აბა ბისმარკი ფრანგებს მკვდარიც ხომ არ დაეხსნება!) ჯაშუშები გამოუგზავნია და თურმე შიგ სამხედრო სამინისტროში მოხელეობდნენ და ყველა საიდუმლო ცნობებს ატყობინებდნენ გერმანიის მმართებლობასაო; ან არა-და, გააბამდნენ წილადობილას: ცხონებულ ბულანჟეს ხომ ჰყავდა და ჰყავდა, და წარმოიდგინეთ, თურმე იმის მეუღლესაც საყვარელი ჰყოლიაო; გვარს იტყოდნენ, სახელს, მთელს ბიოგრაფიას ამ კაცისას; გაჩნდებოდა გაზეთების შეჯახება, იქნება დუელებიც მომხდარიყო და ამ გვარად საზოგადოებას და ხალხს დაავიწყებდნენ იმ საშინელს ჭირს, რომელიც უფრო იმითია საშიში, რომ დღე და ღამ შეუწყვეტლივ ხოლერის ფიქრი მართლა სასოწარკვეთილებამდის მიიყვანს ადამიანს და ასე შესუსტებულს ადვილად დასძლევს ყოველ გვარი ჭირი. ამიტომ არის საჭირო, თუ სხვა ვერაფრით მივიზიდეთ ხალხის გულის-ყური, ის მართლადა სამარცხვინო ზღაპრები მაინც მოვსპოთ, რომელსაც შიშის ზარი დაუცია ყველასთვის.

ჩვენის სანიტარების აზრი, რომ ავადმყოფს საავადმყოფოში უფრო კარგად მოუვლიანო, ხალხს თავისებურად შეუგნია და ამ ღონისძიებისათვის თავისებური საფუძველიც მოუძებნია. იქ იმიტომ მიჰყავთ, რომ შინ შეიძლება ერთი-ორი დღე მაინც იცოცხლოს და სხვასაც გადაედოსო და იქ-კი, მიიყვანენ თუ არა, მაშინვე თეზაფის წყალს დაალევინებენ და ფეხებს აფშეკინებენო. „ერთ თათარს თურმე ძმა მოუკლეს, მიამბობდა ერთი გლეხი: შეეხვეწა, მაჩვენეთ, რა წამალი ასვითო. აიღეს და მისცეს. იმანაც დაისხა ხელის გულზედა.... და ისე თურმე მოედო, როგორც ვერცხლი! თეზაფის წყალი ყოფილიყო. იძრო თურმე ი გამწარებულმა ხანჯალი და იქვე-კი მოკლა ექიმი. აბა თუ მართალსა სწერენ ი გაზეთებში, ეს ამბავი რაღად ჩააფუჩეჩეს?»

ასევე აუხსნია ხალხს რუსეთში ხოლერის გაჩენის გამო აშტარხნელების აჯანყებაც. „მარა! ნახეს, რომ, მოვლისა და მორჩენის მაგივრად, ჰხოცავდნენ ავადმყოფებს და აჯანყდნენო“.

ჯერ, ჩვენდა საბედნიეროდ, საშიში არა გვჭირს-რა, მაგრამ ყველაფერი მოსალოდნელია და ამისთვის საჭიროა, ხალხს ცოტაოდენი ნდობა მაინც ჰქონდეს მედიცინისა და ექიმისა. შემდეგში ექიმებს სოფლებშიც მოუხდებათ სიარული. რა ნდობით მიიღებს ხალხი, ან ექიმები რას გაარიგებენ ამ ზღაპრებით გონება-დაკარგულ ხალხში? და სოფელს რომ უფრო მეტი ყურადღება ექირვება, ამას თქმაც არ უნდა, იმიტომ, რომ სოფლელ სანიტარებს სულ თავისებურად ეყურებათ თავიანთი დანიშნულება. „პატივი სოფელს გარედ გაიტანეთ, სახლები დაგავეთ და «მორწყეთ» ხოლმე“. სწორედ იმ მორწყვას ურჩევენ, რომელიც უფრო გაავრცელებს ავადმყოფობას.

ი. მ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ჩოხატაური** (ოზურგეთის მაზრა). 15 ივნისს ჩოხატაურის ერთ-კლასიან სკოლის შეგირდები გამოსცადეს სოფლის მასწავლებლებმა საზოგადოების თანადასწრებით. ეგზამენის დროს სამისავე განყოფილების შეგირდებმა საკმაოდ კარგად გამოიჩინეს თავი თავის კარგისა და გულ-დამშვიდებულის პასუხების მიგებით. გარდა ამისა მშვენიერად იგალობეს „მორბის არაგვი“, „ჩვენო არაგვო“, „კავკასიის ქედზედ იყო“, „ბრძოლა, ძმებო“ და სხვანი. როცა ეგზამენი დასრულდა, მასწავლებელმა გარდა თავის ამხანაგ მასწავლებლებისა მიიწვია სადილად კიდევ რამდენიმე, სკოლის სიკეთისა და წარმატების გულითადი მსურველნი... სიუხვითა და შნოებით მათი სადილი დიდად ჩამოჰრჩებოდა უკან „დიდ სადილს“, მაგრამ სულიერად-კი გაცილებით მაღლა იდგა მაზედ, რადგან ამ დროს მესადილეთ ღირს-შესანიშნავი საქველ-მოქმედო და მასთან სამაგალითო საქმე ჩაიდინეს...

სკოლაში არის მოსამსახურედ იქვე კურს-დასრულებული შეგირდი კ. გ., რომელსაც სიღარიბის გამო მიუკანკარისებულმა ქვრივმა დედამ სწავლის განსაგრძობი წყარო ვერ ამოუჩინა. უნდა ვსთქვათ, რომ ეს ყმაწვილი განსაცვიფრებელი ნიჭიერი და სწავლის შეძენისათვის თავდადებულია და, რადგან მეტის სწავლის მიღების იმედი სრულიად დაჰკარგოდა, თავის თავს უბედურად სთვლიდა და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. მასწავლებელი კარგად ჰგრძნობდა ყოველ ამას და დახმარების წყურვილი ჰკლავდა, მაგრამ რა უნდა გაეწყო, როდესაც თითონაც არავითარი სახსარი და ღონისძიება არ მოეპოვებოდა; ისე-კი ჯანსა და ღონეს არ ჰზოგავდა, რომ კერძოდ ესწავლებინა და განევითარებინა იგი. ყმაწვილი ორის წლის განმავლობაში იმდენად კარგად განვითარდა ქართულ წიგნების კითხვით, რომ დაიწყო მშვენიერ ლექსების წერა, რომელსაც ეხლაც განაგრძობს. ეს ყმაწვილი და იმისი გარემოება სრულიად გააცნო მასწავლებელმა ყველა სადილად მსხდომთ და იმის მოზრდილ რვეულიდგან რამდენიმე კარგი და სასიამოვნო ლექსიც წაუკითხა... ადგილობრივი ექიმი ბ-ნი დ. ერისთავი და გამომძიებელი ბ-ნი ა. ლორთქიფანიძე ალტაცებაში მოვიდნენ და მაშინვე სთხოვეს დანარჩენთ მის სწავლის განსაგრძობ საშუალების ყოველ წლიურად მოპოვება... ამ თხოვნას ყველანი სიხარულით მიეგებნენ და არც ერთმა არ დაიზარა ყოველ წლიურად ყმაწვილის შეწევნა, სანამ იგი რომლისამე სპეციალურ სასწავლებლის კურს არ შეასრულებს... გაიმართა ხელის მოწერა და დაჰპირდნენ ყოველ წლიურად შეეწიონ:

თ. დიმიტრი კ. ერისთავმა 25 მან., თ. ალექსანდრე მ. ლორთქიფანიძემ 25 მან., გიორგი ბოკერიამ 20 მან., მასიკო აროშიძემ 15 მან., ალექსანდრე დოლიძემ 10 მან., არსენ წითლიძემ 5 მან., მიხეილ ჯიბლაძემ 5 მან., ისიდორე რამიშვილმა 5 მან., სიმონ სიხარულიძემ 5 მან., სიმონ ორჯონიკიძემ 5 მან., კაცია ქლენტმა 4 მან., გიორგი ზაზაროვმა 3 მან., გერასიმე მეგრელიშვილმა 3 მან., იაგორ მეგრელიშვილმა 3 მან., ვასილ მეგრელიშვილმა 2 მან. და სიო კობიძემ 1 მან., ე. ი. 136 მანათი, რომელიც საკმაო არის წლიურად ყმაწვილის აღსაზრდელად...

აქ ხშირად ჰმართავენ ნადიმებს ჩვენი დარბაისლები, მაგრამ იმათ მამაპაპურ მეჯლიშს შედეგად უაზრობის მეტი არა მოჰყვება და არა აგვირგვინებს-რა. დღეს-კი სრულიად სხვა, დღემდის სანატრელი მოვლენა გაგვეშალა თვალ-წინ. დავინახეთ, რომ ბობოლა დარბაისლები „ჰარალე-თარალეს“ ძახილით ხალხის თანაგრძნობასა და ტაშის ცემას ვერ იმკიან. ხალხი იმათ ზიზღითა და სამდურავით ეკიდება ისინიც ჰგრძნობენ რა ყოველს ამას აშკარად, კაინივით აწეწილ-აბუძგულან და შიშით ზარდაცემულნი, ვით განძეულნი, ღვინოში ეძებენ ნუგეშს.

იმათ წინანდელ სამეთაურო ადგილას ახლა დგანან პატიოსნებით აღჭურვილი და სინიდისით სავსე განათლებული ყმაწვილი კაცები, რომელნიც ღვინისა და უფსკრულ ყანწების მაგიერ ჟურნალ-გაზეთებსა და კალამ-საწერელს დასწაფებიან, საარშიყო ლექსების მღერის მაგიერ, სწავლა-განათლების გავრცელებასა და სამშობლო ერის სულიერად ამაღლებასა და წარმატებას გულმხურვალედ სცდილობენ; საბრალო მოძმეთა ხანჯლის წვერებზედ აგების მაგიერ, ძმურად ხელს აწვდიან, მათდა კეთილ გზაზედ დასაყენებლად ურთიერთ შორის სახსარს ჰპოულობენ და მტრობის მაგიერად ქრისტეს მიერ მოძღვრებულ მაღალს სიყვარულს უმტკიცებენ.

დიდ!.. ამას მოველოდით მომავალში, რომელიც აწმყოდ გამხდარა, და ეს დავინახეთ ახლა!... მაშ ნუ ვიქნებით უსასონი!... ის ჭეშმარიტი ღმერთი, რომელმაც ჩვენს წარსულს ძველს აწმყო ხვითო აშობინა, ამ კარგს აწმყოსაც იმ სანეტარო მომავლით შეგვიცვლის, რომელსაც ვოცნებობთ და ჯერ კიდევ მხოლოდ სიზმარში ვხედავთ!...

«გიგიბერია»

**ქსნის ხეობა** (დუშეთის მაზრა), 29 ივნისი. საზოგადოდ ქსნის ხეობაზედ წელს ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა. სეტყვა, თუმცა გაკვრით ჩვენსკენაც ყოფილა, მაგრამ ზარალი იმდენად მცირეა, რომ არც-კი არავის შეუმჩნევია. სიცხე კვლავინდებურად არ არის. წელს უფრო გრილი წელიწადია. თივა უხვად მოვიდა და ავდრები იმდენად ხშირია, რომ ხელ-მეორედ მწვანე ბალახები ამოხეთქა ველებზედ; ქერები სრულიად ჩამკილია, მხოლოდ თავ-თავ დაწმენდილი ყანები გაწითლებული შესცქერიან მზის სხივებს და სასიამოვნოდ ჰღელავენ ერთი ბეწო ნიავის ამოსვლაზედ. პურებიც კარგად შემოსულია და იქით კვირია გაიჭრება. ავადმყოფობა არაფერია და, ერთის სიტყვით, ამაყად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ ჟამად ქსნის ხეობაზედ უფლის თვალი ტრიალებს.

საერთოდ მთელს ხეობაში ხოლერის შესახებ არის ლაპარაკი: გლეხი, აზნაური, თუ თავადი, სახლში, თუ გარეთ, ერთთავად სულ ხოლერის შესახებ ლაპარაკობენ. ყველანი საფიქრებელს არიან მიცემულნი და გაიძახიან: „კაცო, ქალაქში ხოლერაა, რაცა გვაქვს, დროით შევჭამოთ, თორემ აქაც მალე მოვა, ყველანი დავიხოცებით და რაღა ოხრად გვინდა სარჩო-საბადებელიო!» აქ სულ შეჭმაზედ არის ლაპარაკი და ღონისძიება რამ სენის ასაცილებლად არავის მოჰგონებია. უმეტესად ისინი, ვინც მოვალენი არიან, ყურ-წაგდებულნი სხედან და არაფერს ჰფიქრობენ სისუფთავისათვის; ყოველივე სოფელში და უმეტესად ახალგორში ისევე უწმინდურადა და უსუფთაოდ არის, როგორც აქამდე იყო. წიგნაკად დაბეჭდილი დარიგება, როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომ ხოლერით ავად არ გახდესო, მივიღეთ, მაგრამ, რა გამოვიდა? ამოდენა უსუფთაო სოფლებში, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. არსად სასანიტარო დასია, არსად ექიმი და სოფლების დათვალიერება, არსად პოლიციის წევრის მიერ სისუფთავისათვის მზრუნველობა და სხ...

ყოველი სოფელი საქონლის პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივით არის სავსე, ყოველს ნაბიჯზედ წუმპე სდგას, ყველგან ნაგავი ჰყრია და ამის გასუფთავებისთვის თავს არავინ იდებს, რის გამოც ჯერ ყოველ სოფელში და უმეტესად ახალგორში საშინელი მოწამლული ჰაერია, ასე რომ გავლის დროს ცხვირის ნესტოები უნდა დაიცოს კაცმა. სხვათა შორის უსუფთაობის მხრივ ერთს შესანიშნავს ალაგს დავასახელებ: თვით სოფლის კანცელარიის წინ სამს ალაგას წუმპე სდგას და რამდენიმე ურემი ნაგავი ჰყრია. ე ცხვირ წინ მაინც მოაშორებინონ ნაგავი და სხვას ჯანი გავარდეს. დიდად სასიკეთო საქმეს ინებებს ბ-ნი მაზრის უფროსი, თუ სხვა სოფლებისათვის, ამ ხეობაზედაც სასანიტარო დასს დააარსებინებს და მით დაგვიხსნის მცხოვრებლებს უსუფთაობისაგან და მცირედ მაინც უზრუნველ გვყოფს სხვა-და-სხვა სენისაგან.

ა. ერისთავი

## წერილი მუხრანიდგან

(მუხრანელების საყურადღებოდ)

ვგონებ ყველამ შევიტყეთ, რომ ტფილისში გაჩნდა ხოლერა. ისიც ყველამ ვიცით, რა გულ-მოდგინებით გამოუცხადა ომი ტფილისმა ამ უჩინარს მტერს. ეს ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ ტფილისის გარეშემო და ახლო სოფლები რას ვაკეთებთ? ვგონებ არაფერს. ჯერ გვძინავს და ვამბობთ, რაც ღმერთს უნდა, ის იქნებაო. მართალია, რაც ღმერთს უნდა, ის იქნება, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ ცდა ბედის მონახევრეაო. მოდით ჩვენც ვეცადოთ, რომ არც ღმერთთან დავრჩეთ პირშავად და არც კაცობრიობასთან. წარმოვიდგინოთ, ღმერთმა-კი დაგვიფაროს, რომ როგორმე ფეხი შემოსდგა ჩვენში ხოლერამ. ნუ გგონიათ, მალე მოვიშოროთ. არაფრით წავა, სანამ ასსა და ორასს და იქნება მეტსაც არ იმსხვერპლებს და არ გაჰგზავნის საიქიოს: ჯერ ჩვენ წავალთ და მერე ხოლერა. მიიხედ-მოიხედეთ თქვენს გარეშემო. მადლობა ღმერთსა, სახელებიც გახსოვთ და ნაშთებიც არის, მაგალითად, ჭირანთ ქოხები, ციხიძირის ნასოფლარი, ძველი ქანდა, გადმობრუნებული საყდარი და სხვ. თქვენ ყველას გაგიგიათ თქვენის მამა-პაპისაგან და ეხლაც ამბობთ, რომ ეს ადგილები სულ სოფლები ყოფილა, როდესაც გაივლით ხოლმე ამ ნასოფლარებთან: „შეხედე, რა მშვენიერი საწნახლებიაო, ამბობთ ხოლმე თქვენ: ამათი პატრონები რა შეძლებული ხალხი იქნებოდაო, მაგრამ იმ ოხერ ჭირიანობას და ხოლერას რამდენი სოფლები აუოხრებიაო."

სწორედ ეგრეა. ეგ სოფლები მუხრანივით გამართული სოფლები ყოფილა წინად, მაგრამ დღეს ნასოფლარები-ღაა. დღეს ჩვენც ეგ დღე დაგვადგება, უკეთუ არ მოვემზადებით მაგ მტრის წინ დასახვედრად. ჩვენი უბედურება ის არის, რომ ვდგევართ შევიწროებული საშინლად, ზამთარ-ზაფხულ ღამით საქონელი და ჩვენ ერთადა ვცხოვრობთ. ხომ თქვენც დამემოწმებით, საქონლის სასუქი რჩება ბაკებში, ყროლდება და უჩნდება მატლი. ფეხის-ალაგები ჩვენ არა გვაქვს, ორღობეები და სახლები გაგვიხდია ფეხის-ალაგად. სახლებთან ყოველნაირ ნაგავს და კაცის განავალს, დაფარვით თუ აშკარად, ვყრით მაგ ერთად ერთს წყალში, რომელიც მოდის შუა სოფელში, და იმავე წყალსა ვსვამთ. სასაფლაო გვაქვს შიგ შუა სოფელში, სანაგვედ გაგვიხდია გზები; ვენახებიდგან უშვებთ წყლებს, კეთდება გუბეები, ფუჭდება გზები, ყროლდება გუბე და, რაც არა მგონია, შიგა ჩნდება. ჩვენ წყალს გასადიდებელი შუშა არ უნდა, თვალითაცა სჩანს შიგ ბევრ ნაირი ცხოველები. ამასთან ჩვენი ნაქები მუხრანის კიტრი, ქლიავი, დამასხი, ჭანჭური, თათრების ნესვისა და საზამთროს ბოსტნები და სხვა. ხოლერას სწორედ ასეთი ალაგი უყვარს.

ეს ყველა ასე, მაგრამ როგორ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს. ცარიელ ლაპარაკით არა გამოვა-რა. საქმეა საჭირო. ჩემის აზრით, პირველად დავეშუროთ, დავიქირაოთ სამის თვით ერთი კარგი გამოცდილი და ნასწავლი მკურნალი, თთვეში მივცეთ სამასი მანეთი, დასადგომად ვთხოვოთ დირექციას მისცეს სასოფლო სკოლა. შემდეგ, როგორც იმან დაგვარიგოს და გვიბრძანოს, ისე მოვიქცეთ. მაშინ, დარწმუნებული იყავით, ხოლერა ან სულ აგვცდება, ან ბევრს ვეღარას ვერ დაგვაკლებს.

ახლა იტყვით, მკურნალს ფული საიდგან მივცეთ, ღარიბი და ვალში დამრჩვალი ხალხი ვართ, ორი შაურს ეხლა მოველოდით კიტრისა და ხილისაგან და ეგეც გაგვიუქმესო. ეგ სუყველა მართალი არის და მეც დაგემოწმებით, რომ სწორეთ ეგრეა. ხოლო მე ღარიბებთან საქმე არა მაქვს. მე მივმართავ და მოვაგონებ თავიანთ მოვალეობას ჩვენს მებატონეებს, რომ იმათ გამოიჩინონ თავიანთი კაცთ-მოყვარეობა ნაყმევებზედ ამისთანა გაჭირების დროს. აგრეთვე მოვალენი არიან ყველა შემძლებელნი გლეხნი, რომ არაფერი არ დაჰზოგონ ამ საქმისათვის. უნდა ყველამ საჩქაროდ შევწიროთ ფული, რომ შესდგეს 1,000 მ. მაინც.

მე ჩემის მხრით მუხრანის მცხოვრებლებში პირველთაგანი არა ვარ და შემიწირავს ამ საგნისათვის ასი (100) მანეთი. იმედი მაქვს, რომ სხვებიც ასევე მოიქცევიან. ამ სახით საჩქაროდ შესდგება საკმაო ფული, მხოლოდ დროს დაკარგვა არ უნდა. რაც დღეს 1,000 მ. გარიგდება, ხვალ და ზეგ, თუ გაჩნდა ხოლერა, 10,000 მანეთით ვეღარ გარიგდება. ამისთვის ვთხოვ, როგორც მებატონეთ, აგრეთვე გლეხებს, ვისაც რამდენის შეწირვაც ჰსურს, ნუღარ დააგვიანებენ, გამოაცხადონ გაზეთ „ივერიაში", აირჩიონ სამი კაცი, ჩააბარონ ეგ ფული, რომ შეეძლოთ დაქირავება მკურნალისა და თაოსნობა ამ საქმისა. ასე, ჩემო ბატონებო, თუ გამიგონებთ, თქვენ იცით, არ გამიგონებთ— ისიც თქვენი საქმეა, მხოლოდ ბოლოს რომ სანანურად გაგიხდეთ საქმე, მე უვალო ვიქნები.

მუხრანის საზოგადოების წევრი
პავლე ტერ-ოჰანეზოვი

ივნისის 29-ს.

## კახკა, მერვი, ბუხარა და სამარყანდი.

საითაც-კი გაიხედო, რომელ გაზეთშიაც-კი ჩაიხედო, სულ ხოლერა და ხოლერაა სალაპარაკო. ლამის ხოლერაც და მისი შესახები ლაპარაკიც გაუთავებელი შეიქმნას. ერთის სიტყვით, ამ უბედურებას იმ განწირულებამდის მიუყვანია ხალხი, რომ თავიანთ საცხოვრებელსაც-კი თავს ანებებენ და გულ-გახეთქილები, რომელი რომელს გაასწრებს, აღარ იციან.

ქალაქზედ შორს გახლავართ ამ წერილის დაწერის დროს, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოც შეშინებული იქნება და, ვინ იცის, ქეიფსა და ლოთობაში ჰფლანგამენ თავიანთ წვა და დაგვით მოგებულ ორიოდე შაურს. ან-კი ვის შეუნახონ, როდესაც კბილებ-დაკრეჭილი ხოლერა კარზედ მოსდგომიათ უშველებელის ცელით და იმუქრება ვითომ, დღეში სამას-ოთხას კაცს გავისტუმრებ ადგილსა მას განსასვენებელსა და მწვანილოვანსაო.

საკვირველი ხალხი ვართ, ღმერთმანი! ცოტაზედ ვიცით გულის გადმობრუნება. განა რა იყო, რა მოხდა იმისთანა, რომ ქვეყანა ქვეყანას შევაჯახეთ. ვგონებ იმის მეტი არაფერი, რომ ბინძურ და უსუფთაო სპარსეთის ქალაქ მეშედში რამდენიმე ასი კაცი იმსხვერპლა გაუფთხილებლობამ. ასევე მოხდა ბაქოში. გავიგეთ თუ არა ეს ხმა, ჰაერის ხომალდით ვაფრინეთ და მთელს იმპერიას მოვდეთ. საწყალო ხოლერავ, რამდენი უმიზეზო ბრალი გედება და რამდენი ლოცვა-კურთხევით გიკრაჭუნებს გესლიანს კბილებს! მერვსა, ბუხარასა, სამარყანდსა და მის გარეშე ბევრი ტყუილი ხმა დაჰყარეს. დავარწმუნებ ურწმუნო თომებს, რომ ამ ზემო ჩამოთვლილ ალაგებში ხოლერის აჩრდილიც-კი არსად ყოფილა. მართალია კახკაში მოკვდა ათიოდე კაცი, მაგრამ მაშინვე შეჰკრეს ყოველივე მისავალ-მოსავალი გზები, ასე რომ ვერც მიმსვლელი მიდის და ვერც წამომსვლელი მოდის. ესევე მოიქცნენ ამ ახლო ხანში ასხაბადსა, მერვსა და სხვა სადგურებში, სადაც მკურნალნი ჰშინჯავენ მგზავრებს და გადმომსვლელებს კარანტინ ქვეშ ამყოფებენ. სწორედ კარგსაცა სჩადიან. ნათქვამია, სიფთხილეს თავი არ ასტკივაო. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ უფრო გასაფთხილებელი სხვა მრავალი რამ გვიწყვია თვალ-წინ ● იმასთან ხოლერა ფასია. ეს გასაფრთხილებელი გახლავთ ერთის თვის ჰერამი, გაყვითლებულ-ჩაობებული კიტრი, ერთის თვის სავალიდგან მოტანილი ჩაშავებულ - ჩაბნელებული ალუბალი, ახლად შეფერილი ისვრიმი, რომელიც ყურძნის მაგიერობას ასრულებს. აი ნამდვილი ხოლერა! ამ დღეებში ერთი სართი თურმე გარდაიცვალა უცებ, რომელმაც ქვეყანა შეარყია. გასჭრეს და კუჭიდგან რამდენიმე გირვანქა ჰერამი ამოაცალეს. მოდით ახლა თქვენა და დაფა-ზურნას შემოჰკარით და იძახეთ, არიქა, გვიშველეთ, გაგვწყვიტა ხოლერამაო. ეს ხომ ასე. აბა ახლა ბუხარას ვუშველოთ რამე: აქაც გარდაიცვალა ერთი კონდუქტორი რუსი უცებ ნამდვილის ხოლერით. მაგრამ ეს მიკვირს და გამკვირვებია, რატომ ბუხარაში დღეში ასი და ორასი არა კვდება, როცა იქ ისეთი უსუფთაობაა, ვიწროობა; აუარებელი წამხდარი და ჩაოხრებული ხილ-სანოვაგე იყიდება და ერთის თვის ჩაგუბებული წყალი ხელ-ფეხის საბანადაცა აქვთ და სასმელადაც. ღმერთო შეგცოდე და ყველა ამან დამავიწყა, ქვეყანაზედ თუ რამ კარგი მენახა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ჯერ-ჯერობით ჯან-საღად არიან ბუხარაში და ფიქრადაც არავის მოსდის თითქმის ხოლერა.

დასასრულ, ბოდიშს ვიხდი მკითხველთა წინაშე კადნიერის ლაპარაკისათვის და ბატონთ სანიტართ კი უმორჩილესადა ვთხოვთ უპირველესად ყოვლისა მიაქციონ ყურადღება ზემო ჩამოთვლილ ხილეულს და ყოველ გვარ უვარგისს სანოვაგეს და ხორველის შიშიც აღარსად იქნება.

—

გწერთ თითო-ოროლა ახალ ამბავსაც:

საქართველოს ყოველ კუთხიდგან ისმის, რომ დიდი სიცხეები დაიჭირაო. თუ სამართალია სადმე, ამ გვარი სიცხეები ჩვენსკენ უნდა იყოს ეხლა, მაგრამ აქეთ, თუმცა ზაფხულში წვიმა ყოვლად იშვიათია, მშვენიერი გრილი ნიავი დაჰქრის და პაპანაქება სიცხე არ უხუთავს ადამიანს სულს.

—

ვენახებს მშვენივრად ასხია. ბათმანი შვიდი აბაზია დღეს, ვინც კი ფულს მისცემს (ბათმანი რვა ფუთია) და დაიკვეთს ყურძენს.

სამარყანდში თითქმის თავდება მკა. აგრეთვე მევრშიაც. საკმაო მოსავალი ექმნებათ წელს ყველაფრისა.

—

ყველა ზემო ჩამოთვლილ ამბებთან ბავშვების წითელით ავადმყოფობა არის მევრში, მაგრამ ზარალი-კი არაფერი აქვს.

გელათის გლახა

24 ივნისი
მერვი.

## წვრილი ამბავი

საფრანგეთის მეცნიერნი რიშე და მერიკური იმ აზრისანი არიან, რომ ქათმები შეიძლება კაცობრიობას დაიხსნიან ხოლერისა, ხუნაგისა და ჭლექისაგანაო. ქათმებს ყოველივე სენი ედებათ ადამიანისა, სხვათა შორის ზემოდ დასახელებული სენნიც. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქათმის სენის ბაქტერიები არაფრით ჰგვანან ადამიანის სენის ბაქტერიებს. მაგალითებრ, ქათმების ჭლექის ბაქტერია სასიკვდილო მტერია ადამიანის ჭლექის ბაქტერიისა. რიშესა და მერიკურს აზრად მოსვლიათ, ეს ერთმანეთის მტერი ბაქტერიები წასწნუბონ. უცდიათ კიდეც ეს აზრი მაღლებსა, თაგვებსა და თეთრს გურდღლებზედ და ამ ცდას საოცარი შედეგი მოჰყოლია. როცა ამ მხეცებისათვის კაცის ჭლექიც აუცრიათ და ქათმისაც, არც ერთს მათგანს არა ჰქნებია-რა, მაგრამ მარტო კაცის ჭლექის აცრით-კი ოც-დაცხრა დღის განმავლობაში 21 მაღლი მომკვდარა. ორივე მეცნიერს განზრახვა აქვთ, განაგრძონ ამ საგნის გამოკვლევა და ეს ახალი საშუალება ადამიანებზედაც სცადონ.

— პაპსაც და იმპერატორსაც თავისი განკერძოებული ნიშანი აქვთ, რომლითაც იგინი იცნობებიან. კეთილშობილის სისხლის კაცსაც-კი გერბის ტარების ნება აქვს. მაგრამ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს არა გააჩნია-რა ისეთი, რომ განირჩეოდეს სხვათა მომაკვდავთაგან. ამ ნაკლის თავიდგან აცილება ჯერ გრევის დროსვე უნდოდათ; ეხლა კვლავ აღძრეს ეს საგანი და ამის შესახებ დაიწყეს ლაპარაკი. ვიღასაც მოუსაზრია, რომ პრეზიდენტისათვის ერთ გვარი ხალი მოვიგონოთ, ალეგორიულის სურათებით შემკულიო. ამ ხალზედ პრეზიდენტი დარბაზობის დროს იჯდება, ასე რომ ხალს თან გაადევნებენ, სადაც პრეზიდენტი იმოგზაურებს. ხალი 4 მეტრის სიგრძისა და 2 მეტრის სიგანისაა. გარნოს უკვე დაუმტკიცებია პროექტი ამ ხალისა, მხატვარის ყოზეფ ბლანის მიერ შედგენილი. ხალის შუაგულს ადგილას ლენტია საპატიო ლეგიონისა, გვერდზედ-კი—ჭეშმარიტება და სიმართლე ჰხატია. ამათზედ ფრთებს ისწორებს ფრანგული მამალი; ლენტს ქვეშ შეუვარებულს ქალ-ვაჟს ვარდის ჯაჭვით უჭირავთ ღომი ნიშნად ერის უფლებისა. ხალის კუთხეებზედ გამოყვანილია სხვა-და-სხვა ხელოვნებანი, ვაჭრობა და სასოფლო მეურნეობა. ეს ხალი ოთხის წლის შემდეგ იქნება მზად, რადგან დიდი მუშაობა სჭირდება.

— ერთის უცნაურის ამბის გამო პარიჟში ამ ჟამად დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი. ჯარის-კაცს ალფონს დიურეს, რომელიც დარაჯადა მდგარა ინვალიდების სახლთან, შუაღამის შემდეგ ყურადღება მიუქცევია ხმაურობისათვის, რომელიც იმ აკლდამიდგან გამოდიოდა თურმე, სადაც დასვენებულია ნაპოლეონ I-ის კუბო. ეს გარემოება მაშინვე გუბერნატორის, გენერალ სიმერტისათვის უუწყებია და სიმერტი მორიგ-ავიცრებითურთ მაშინვე გამგზავრებულა იმ ალაგის დასათვალიერებლად: გადაუხსნიათ იმ კოშკის ფანჯრიდგან, სადაც ნაპოლეონი ასვენია, და დაუნახავთ, რომ განსვენებულის გვამი, პირ-აღმა-კი არა, როგორც უოველთვის იყო, გულ-დაღმა წევს.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, გულითადი მადლობა გამოვუცხადო მცხეთის საზოგადოების სახელით პ. ა. მღებრიშვილს და დუშეთის მაზრის უფროსს ი. ი. ჩუხოვსკის, რომელთაც შესწირეს მცხეთის სახალხო წიგნთ-საცავს შემდეგი წიგნები: პირველმა თვისი თარგმანი „მიბაძვა ქრისტესი" თომა კემპიისა 1-ლი და 2 წიგნი და მეორემ— „Путевыя замѣтки отъ Тифлиса до Ахталы" და „Жизнеописаніе Святыхъ; прославляемыхъ православною Грузинскою церковью", თხ. პლატონ იოსელიანისა.

მცხეთის «წიგნთ-საცავის» გამგე პროკოფი ბარისაშვილი

## დეპეშა

1 ივლისი

**პეტერბურგი.** მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინანი ქსენია და ოლგა ალექსანდრეს ასულნი გუშინ, ნაშუადღევის $5^1/_2$ საათზედ, პეტერგოფს მობრძანდნენ.

13-დგან 30 ივნისამდე განსაკუთრებულს კომიტეტში შემოვიდა 35,936 მან. ამ რიცხვში 17,231 მან. ფინანსთა სამინისტროს მოხელეთა და დაწესებულებათაგან შემოვიდა და 5,000 ბარონ შტეინგელისაგან.

**პარიჟი.** დღევანდელს მინისტრთა გჯობის დროს პრეზიდენტმა კარნომ ხელი მოაწერა იმის დეკრეტს, რომ 1900 წლის 5 მაისს პარიჟში მსოფლიო გამოფენა გაიმართოს.

ბონნევილიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ დღეს, დილის სამს საათზედ, ბიონისის მყინვარის ერთი ნაწილი მოჰშორდა მონბლანსაო; სამკურნალო სენ-ჟერვე და სოფელი ლუფაიე სულ ერთიანად დაანგრია და წაიღო ზვავმა; 150 ადამიანზედ მეტი დაიღუპა; მდინარე არვის ადამიანთა გვამები და სხვა-და-სხვა ნივთეულებანი მოაქვს.

2 ივლისი

**პარიჟი.** ზღვათა მინისტრად დაინიშნა ბიურდო.

სალანშიდგან იუწყებიან შემდეგს დაწვრილებულს ამბებს სენ-ჟერვის უბედურებისას: აღმოჩნდა რომ დახოცილა 140 კაცი, მაგრამ ფიქრობენ, რომ დახოცილთა რიცხვი იქნება 200-მდეო. ორმოც-და-თოთხმეტ კაცს შორის, რომელნიც მსახურებდნენ საბანაოში გადარჩენილან მხოლოდ ცხრანი. თვით შენობა საბანაოსი თითქმის სულ მთლად წაულეკია ნიაღვარს, მხოლოდ სოფელი ფაიე ნახევრად აოხრებულა. დახოცილთა გვამნი საშინლად დასახიჩრებულნი იპოვნეს, ასე რომ მათი ცნობა ძნელი იყო. დაშავებული მრავალია. შესდგა კომიტეტი დაზარალებულთა შემწეობისათვის. მკვიდრნი საოცარს გულ-მტკივნეულობას და თავ-განწირულებას იჩენენ.

პარლამენტმა გაათავა საქმეები და დაიშალა. ზღვათა მინისტრმა ბიურდომ უბრძანა პოლკოვნიკ დოდდეუსს, მიიღე ხმელეთისა და ზღვის ჯარების სარდლობა დაგომეიოში.

**სოფია.** ბელჩევის საქმის გამო პროკურორმა მოითხოვა სიკვდილით დაისაჯოს მილლაროვი და პოპოვი.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ივნისს

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,06 | 8,09 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161¼ | 162 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 238¼ |
| —მეორისა . . . . . | 220½ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 192½ | 192¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. სალ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. სალ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სალ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სალ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გან ადისაითს.

**ფოთიდგ გადის:ან**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. | |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | „ | „ |
| „ „ 2 | | | |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | „ | „ |
| „ „ „ 2 | „ | „ | „ |
| „ „ „ 3 | „ | „ | „ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | |
|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ „ | | . |
| მე-3 „ „ „ „ | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 | „ |
| „ „ 2 „ | | „ |
| სუკი — — — | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 9 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | 6 | „ |

---

# განცხადებანი

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5

2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5

3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5

4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80

5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50

6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30

7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლე-




(25—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთ. I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |

---

# მაღაზია სარპინკებისა

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჰრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

**ბენდერ და სტეფანოვი**

(35—56—30)

---

წარმოება

**ასფალტის სამუშაოთა.**

ისყიდება

# ასფალტი და გუდრონი

უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.

მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს;
ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს.

(15—11)

---

**გამოვიდა და ისყიდება**

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

# ზ ა ლ ი ბ ი

მოთხრობა კოლტერისა
გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ
ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.